შპს MS STUDIO

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

აპრილი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრონციპების, სახელოვნებო სწავლების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და შპს MS STUDIO თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების ინტეგრირებას კინო-ხელოვნების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- შპს MS STUDIO-ის სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო პრაქტიკისა და შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- საშემსრულებლო სპეციალობის სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და დონის ამაღლებას, კინო-ტელე წარმოების პრაქტიკული საფუძვლების გაცნობას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.
1.2. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს.
1.3. მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტთა (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სადიპლომო ნაშრომების ექსპერტიზაში.
1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების სახელოვნებო პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის, დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.5. სტუდია საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს:
- სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლას.
- ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, წინასწარი ურთიერთ-შეთანხმებით, სტუდიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებას სასწავლო-სააუდიტორიო სამუშაოებისათვის.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალის-წინებული ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ოთხი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

შპს MS STUDIO -ის დირექტორი ... ე. კიკვიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ... ე. მესხია